ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №401442

ნომერი: AR187667

თარიღი : 19.10.2012

გაცემის თარიღი : 23.10.2012

გაცნობის თარიღი : 26.10.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭიჭინაძე , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ვასაძე პ/ნ 01027052820
- ჭიჭინაძის ქ. კორპ.29დ, ბ-45

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია აივნის ამოშენება-შემინვა
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის ფასადზე მოსაპირკეთებელი და სარეკონსტრუქციო სამუშაოების (არსებული ღია აივნზე მოაჯირის მოწყობის) განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი–სამგორი, ჭიჭინაძის ქ. #6–ში, თანასაკუთრებაში არსებული შენობის II სართულზე, მოქ. ნინო ვასაძის საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე მოსაპირკეთებელი და სარეკონსტრუქციო სამუშაოების (არსებული ღია აივნზე მოაჯირის მოწყობის) განხორციელების ნებართვას. პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ფართის კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.19.23.015.011; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისი, სექტორი–სამგორი, ჭიჭინაძის ქ. #6–ში, თანასაკუთრებაში არსებული შენობის II სართულზე, მოქ. ნინო ვასაძის საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე მოსაპირკეთებელი და სარეკონსტრუქციო სამუშაოების (არსებული ღია აივნზე მოაჯირის მოწყობის) განხორციელების შესაძლებლობას.

საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილ იქნას აივნის კონსტრუქციული მდგრადობა.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge